საქართველო -„გაზპრომ ექსპორტს“ შორის შეთანხმების სამართლებრივი ასპექტები

შესავალი

რუსული გაზის სომხეთში ტრანზიტის საფასური, 1991 წელს ჩრდილოეთ-სამხრეთ კავკასიის მაგისტრალური გაზსადენის ამოქმედებიდან დღემდე, გატარებული გაზის ოდენობის 10%-ით იყო განსაზღვრული. ტრანზიტის ეს პირობა მოქმედებდა 2016 ჩათვლით, ხოლო 2017 წლიდან, რუსული მხარის მოთხოვნით და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ „გაზპრომ ექსპორტთან“ დადებული შეთანხმების შესაბამისად, ტრანზიტის საფასური, ნატურით პროცენტული ანაზღაურებიდან გადადის თანხობრივ ანაზღაურებაზე. ამასთან ერთად, ამ საფასურის სიდიდე არ საჯაროვდება და კეთდება მინიშნება, რომ ქართული მხარე იძულებული იყო დათანხმებოდა გაუარესებულ პირობებს.

აღნიშნული მოვლენა, მისი მაღალი სამომავლო პრეცედენტული მნიშვნელობის გამო, მოითხოვს კომპლექსურ შეფასებას და დასკვნების გამოტანას ენერგეტიკული უსაფრთხოების, გეოპოლიტიკური, სამართლებრივი, კომუნიკაციის და გამჭვირვალობის ასპექტების გათვალისწინებით.

ამჯერად ჩვენს შეფასებებს წარმოვადგენთ მხოლოდ ზოგიერთ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით[1].

ტრანზიტის ახალი პირობების გამამართლებელი სამართლებრივი არგუმენტები

ოფიციალურ და ზოგიერთ საექსპერტო გამოსვლებში გაზის ტრანზიტის საფასურის ანაზღაურების დღემდე არსებული პირობების დათმობის გასამართლებლად შემდეგი არგუმენტები სახელდება:

1. საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები „ენერგეტიკული ქარტიისა“ და „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის“ საერთაშორისო მრავალმხრივ სამართლებრივ ფორმატში, რომელიც არეგულირებს ენერგორესურსების ტრანზიტს და მოითხოვს ტრანზიტის მომსახურებისათვის ხარჯზე დაფუძნებული საფასურის დაწესებას;

[1] სამართლებრივი ასპექტების შეფასება ძირითადად ეყრდნობა WEG-ის ექსპერტის თამარ წურწუმიას 2015 წელს "ენერგეტიკული ქარტიის ორგანიზაციის" ეგიდით გამოქვეყნებულ კვლევას -"Gas Transit through Georgia in the light of Energy Charter and Energy Community provisions". წყარო: http://www.energycharter.org/what-we-do/publications/gas-transit-through-georgia-in-the-light-of-energy-charter-and-energy-community-provisions/

2. ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმებითა“ და საქართველოს „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანების ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებები;
3. სომხეთის მიერ დავის წარმოქმნის რისკი, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით;
4. საქართველოს მიერ საიმედო და პროგნოზირებადი სატრანზიტო ქვეყნის იმიჯის შენარჩუნება.

განვიხილოთ უფრო ვრცლად ეს არგუმენტები:

1. საქართველო რუსული გაზის სომხეთში ტრანზიტის მონეტიზაციის მოთხოვნის საფუძვლები საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში

1.1 საერთაშორისო სამართლებრივი მოთხოვნები ტრანზიტთან მიმართებით

საერთაშორისო მრავალმხრივ სამართლებრივ სისტემაში საქონლის ტრანზიტი რეგულირდება „ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების“ (GATT) მე-5 და ენერგეტიკული ქარტიის მე-7 მუხლებით. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო, რუსეთთან ერთად, არის „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის“(WTO) წევრი, ხოლო WTO არის GATT-ის სამართალმემკვიდრე, ენერგეტიკულ ტრანზიტთან დაკავშრებით უნდა დავეყრდნოთ GATT-ის მე-5 მუხლის მოთხოვნებს/პრინციპებს, რომლის მიხედვითაც, მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ თავისუფალი/შეუფერხებელი ტრანზიტი, ხოლო ტრანზიტის მომსახურების საფასური უნდა იყოს „თანაზომიერი“ გონივრულ ფაქტობრივ ხარჯებთან.

GATT-ის მე-5 მუხლი არ აკონკრეტებს საფასურის აღების სახეს (ნატურით, ფულადი სახით თუ სხვა), შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ „WTO“-ს ფარგლებში არ არის მონეტიზაციის ცალსახა მოთხოვნა. ტრანზიტის მომსახურების ანაზღაურება ნატურით დასაშვებია, თუ მომსახურების მიმღები მხარე მიიჩნევს, რომ აღნიშნული საფასური ადეკვატურად ასახავს ტრანსპორტირების ხარჯს (კაპიტალურ, ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო დანახარჯებს), რაც მხარეებს შორის ფასზე შეთანხმების საკითხია[2].

აღნიშნულის გათვალისწინებით, არამართებულია მტკიცება იმისა, რომ სატრანზიტო პირობების შეცვლის და გაზით ანაზღაურების ნაცვლად თანხობრივ ანაზღაურებაზე გადასვლის წინაპირობა იყო WTO-ს მოთხოვნა, ვინაიდან GATT-ის მე-5 მუხლი სატრანზიტო მომსახურების ანაზღაურების ფორმას არ განსაზღვრავს.

---

[2] *ამის მაგალითებია ალჟირიდან იტალიაში ტუნისის გავლით გაზის მიწოდება, ან აზერბაიჯანიდან ნახჩევანის რეგიონში გაზის მიწოდება ირანის გავლით ტრანზიტის ნატურით ანაზღაურების პირობებით. ამის არაპირდაპირი მაგალითია სმკ კონსორციუმიდან ტრანზიტით გატარებული გაზის პროპორციული მოცულობის შეღავათიან ფასებში შესყიდვის საკონტრაქტო პირობა რაც მომზადდა მაღალკვალიფიციური საერთაშორისო ექსპერტების მიერ, საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით.*

1.2 რუსეთთან ურთიერთობაში საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გამოყენების მართებულობა

რუსეთთან სატრანზიტო ურთიერთობების საერთაშორისო სამართლის ფარგლებში რეგულირებაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთს საქართველოს მიმართ ასეთი კატეგორიული მოთხოვნის საფუძველი არა აქვს, ვინაიდან ის საკუთარ ტერიტორიაზე ტრანზიტთან მიმართებით არ აღიარებს საერთაშორისო **სამართლის პრინციპებსა და ნორმებს, ანუ არ იქცევა WTO-ს წესების შესაბამისად**[3].

ამის დადასტურებაა თუნდაც 2009 წელს რუსეთის გამოსვლა „ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულებიდან", რომელსაც მან 1994 წელს ხელი მოაწერა და რომლის რატიფიკაციაც არასდროს უცდია. „ენერგეტიკული ქარტიიდან" რუსეთის გასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ თავისუფალი ტრანზიტის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნა იყო.

მართლაც, ქარტიის ხელშეკრულების რატიფიკაცია, რუსეთს აიძულებდა თავისუფლად გაეტარებინა ბუნებრივი გაზი ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან (ყაზახეთი, უზბეკეთი და განსაკუთრებით თურქმენეთი) ევროპაში. ამ შემთხვევაში მას ხელი უნდა აეღო ბუნებრივი გაზის გადაყიდვის პრაქტიკაზე და დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ტრანზიტის საფასურით. რუსეთი დაკარგავდა მონოპოლიურ მდგომარეობას და გაზის მიწოდების პოლიტიკურ-ეკონომიკურ იარაღად გამოყენების შესაძლებლობას, რაც მის ინტერესებში არ შედიოდა. შესაბამისად, „ენერგეტიკული ქარტიიდან" გამოსვლით დაადასტურა, რომ ის არ აღიარებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს საკუთარ ტერიტორიაზე ენერგეტიკულ ტრანზიტთან მიმართებით.

„ქარტიის" მექანიზმი რუსეთს სჭირდებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებით, რათა მას ჰქონოდა თავისუფალი სატრანზიტო მარშრუტები დასავლეთ ევროპის ენერგობაზრებზე გასასვლელად. თუმცა, რუსეთის მოსაზრებით, ამან მაინც ვერ მოაგვარა რუსეთ-უკრაინას შორის დავა და ვერ უზრუნველყო რუსული გაზის თავისუფალი ტრანზიტი უკრაინის გავლით, რამაც საბოლოოდ განაპირობა რუსეთის გასვლა „ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულებიდან".

შესაძლოა რუსეთმა GATT მე-5 მუხლი გამოიყენოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ პოლიტიკური მანიპულირებისთვის, თუმცა მას, სავარაუდოდ, არასოდეს გამოიყენებს სამართლებრივი დავისთვის, ვინაიდან ასეთი პრეცედენტის დაშვება გახდება რუსეთის მიერ ტრანზიტთან მიმართებით საკუთარ ტერიტორიაზე საერთაშორისო სამართლის პრინციპების აღიარების წინაპირობა, რაც დღევანდელი რუსეთის ინტერესებში არ შედის.

რუსეთის მიერ ენერგეტიკულ ტრანზიტთან დაკავშრებით საერთაშორისო პრინციპების არაღიარებას საქართველოს გამოცდილებაც ცხადყოფს. მართლაც, მცდელობები იმისა, რომ ყაზახეთიდან საქართველოში ელექტროენერგიის (ეი-ი-ეს

[3] მაგალითად უკრაინამ 13 თებერვალს WTO-ს სარჩელით მიმართა რუსეთის მიერ უკრაინული საქონლის ტრანზიტის შეზღუდვის ფაქტზე

კორპორაცია) ან ბუნებრივი გაზის (ყაზმუნაიგაზი) ტრანზიტი განხორციელებულიყო რუსეთის ტერიტორიის გავლით, წარუმატებლად დამთავრდა, რუსეთის მიერ გადაულახავი ბარიერების შექმნის გამო.

აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც რუსეთი თავად არ იცავს საერთაშორისო პრინციპებს ტრანზიტთან მიმართებით, საქართველოს მიერ რუსეთის მიმართ ტრანზიტის საერთაშორისო პრინციპების ცალმხრივად დაცვას მყარი სამართლებრივი საფუძვლები არ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირღვევა მხარეთა პარიტეტულობა და თანასწორობა, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო მოლაპარაკებების პრინციპებს.

2. რუსული გაზის ტრანზიტის მონეტიზაციის მოთხოვნის საფუძვლები "ასოცირების შესახებ შეთანხმებისა" და „ენერგეტიკულ გაერთიანებაში" საქართველოს გაწევრიანების ოქმში

ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმებით"/"ენერგეტიკულ გაერთიანებაში" წევრობით, საქართველო ვალდებული ხდება ენერგეტიკული სექტორის/ენერგორესურსებით ვაჭრობის წესები დაუახლოვოს ევროკავშირის სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც ენერგიის ტრანსპორტირებისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება მარეგულირებლის მიერ, ტარიფის გამოთვლის კონკრეტული მეთოდოლოგიით, რაც გულისხმობს მომსახურების ხარჯზე დაფუძნებული საფასურის დაწესებას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა, ძირითადად, გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნების მიერ ერთიანი ევროპული ბაზრის ფარგლებში, ერთმანეთთან ურთიერთობაში და გულისხმობს ამ პირობის დაცვას ყველა მონაწილე მხარის მიერ. საქართველოს შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას ევროკავშირთან პირდაპირი საზღვარი არა აქვს (ანუ ფიზიკურად შეზღუდულია მიიღოს დახმარება (ბუნებრივი გაზი) ევროპის ქვეყნებისგან საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი იყო მოქმედი შეთანხმებებიდან არსებული სარგებლის შენარჩუნება. შესაბამისად, „ენერგეტიკულ გაერთიანებაში" საქართველოს გაწევრიანების ოქმში და "ასოცირების შეთანხმებაში" განისაზღვრა საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით, ევროპული სტანდარტების საქართველოს ბაზარზე იმპლემენტაციის პირობები, რაც მდგომარეობს შემდეგში:

- ✓ **„ასოცირების შესახებ შეთანხმების"** ფარგლებში ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში (DCFTA) მოიცავს ტრანზიტის რეგულირების საკითხებს, რომლის ფარგლებში საქართველოს ვალდებულებები არ სცდება WTO-ს (GATT მე-5 მუხლი) და „ენერგეტიკული ქარტიის" (მე-7 მუხლი) მოთხოვნებს;
- ✓ **„ენერგეტიკულ გაერთიანებაში"** საქართველოს გაწევრიანების ოქმის მიხედვით კი, საქართველო გათავისუფლებულია რაიმე სახის დამატებითი ვალდებულებებისაგან, როგორც ჩრდილოეთ-სამხრეთის (რუსეთ-საქართველო-სომხეთის მარშრუტი), ასევე, აღმოსავლეთ-დასავლეთის

(აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მარშრუტი) არსებული გაზსადენებით ტრანზიტის რეგულირებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რუსეთთან სატრანზიტო პირობების შეცვლისა და ტრანზიტის საფასურის თანხობრივ ანაზღაურებაზე გადასვლის საფუძვლად ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმებითა“ და საქართველოს „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანების ოქმით გათვალისწინებული საქართველოს ვალდებულებების განხილვა არამართებულია.

3. სომხეთის მიერ დავის წარმოშობის რისკი

„გაზპრომთან“ მოლაპარაკების დროს სატრანზიტო პირობების შეცვლის ერთ-ერთ რგუმენტად სახელდება სომხეთის მიერ დავის წარმოქმნის რისკი საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით. თუმცა აღნიშნული არგუმენტი ვერ იქნება მართებული, ვინაიდან სომხეთთან ტრანზიტზე დავის წარმოქმნის საფუძვლად შეგვიძლია განვიხილოთ მხოლოდ საქართველოს მიერ გაზის ტრანზიტის უსაფუძვლოდ შეწყვეტა, რაც, რა თქმა უნდა, საქართველოს არასდროს უცდია.

რუსეთთან ტრანზიტის ფასზე პირობებზე შეუთანხმებლობა ვერ გახდებოდა საქართველოს მხრივ მილსადენის გადაკეტვის საბაბი, ვინაიდან, ტრანზიტის გაგრძელების შემთხვევაში, საქართველოს ყოველთვის რჩებოდა შესაძლებლობა მიეღო საფასური აქამდე არსებული პირობებით.

რუსეთ-საქართველოს შორის ფასთან დაკავშირებით შეუთანხმებლობა არ შეიძლება იყოს საქართველოსა და სომხეთს შორის დავის წარმოქმნის საგანი. ტრანზიტის საფასურზე შეუთანხმებლობის პირობებში WTO-ს ფარგლებში დავა შესაძლოა მოხდეს მხოლოდ ტრანზიტის დამკვეთსა (რუსეთი) და სატრანზიტო (საქართველო) მხარეს შორის, რომლის საფუძველზე განისაზღვრება დაარღვია თუ არა სატრანზიტო ქვეყანამ GATT-ის მუხლებით განსაზღვრული პირობები ტრანზიტის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ან ითხოვდა თუ არა ტრანზიტის დამკვეთი მხარე ტრანზიტის საფასურის უსაფუძვლოდ შეცვლას. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია ვიმსჯელოთ იმაზე, არღვევდა თუ არა საქართველო ტრანზიტთან დაკავშირებულ საერთაშორისო ვალდებულებებს სომხეთთან მიმართებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, რუსეთ-საქართველოს შორის ტრანზიტის საფასურზე შეუთანხმებლობა ვერ გახდებოდა სომხეთის მიერ სამართლებრივი დავის წარმოქმნის საგანი, მაშინ როდესაც საქართველოს არასდროს ჰქონია მცდელობა შეეწყვიტა გაზის ტრანზიტი სომხეთის მიმართულებით. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ სომხეთს ეცადა სხვა შესაძლებლობების გამოყენება შედეგზე ზეგავლენის მოსახდენად.

4. საქართველოს მიერ საიმედო და პროგნოზირებადი სატრანზიტო ქვეყნის რეპუტაციის შენარჩუნება

გაზპრომთან დადებული შეთანხმებით მონეტიზაციაზე გადასვლის ერთ-ერთ გამართლებად, ოფიციალურ განცხადებებში, საქართველოს მიერ საიმედო და პროგნოზირებადი სატრანზიტო ქვეყნის რეპუტაციის დამკვიდრება/შენარჩუნების სურვილი არის მოყვანილი.

ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ საიმედო სატრანზიტო ქვეყნის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა გამჭვირვალობა, რაც WTO/ GATT მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს არადისკრიმინაციულ მიდგომას სხვადასხვა მხარისადმი. საქართველოს საიმედო სატრანზიტო პარტნიორის რეპუტაციის დამკვიდრების მიზანი ვერ არის მიღწეული იმის გამო, რომ საფასურზე მიღწეული შეთანხმება განისაზღვრა როგორც კომერციული საიდუმლოება, რაც არამართებულია შემდეგი მოსაზრებების გამო:

- ქსელური საქმიანობა არის ბუნებრივად მონოპოლიური და არა კონკურენტული საქმიანობა, ამიტომ არ უნდა იყოს კომერციული საიდუმლოების საგანი;
- საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ტრანზიტის მომსახურების მხარე/ქვეყანა ვალდებულია ყველა დაინტერესებულ მხარეს შესთავაზოს თანაბარი პირობები, ანუ დაიცვას „WTO“-ს ფარგლებში აღებული ვალდებულებები“ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (Most-Favored-Nation (MFN) დაცვასთან დაკავშირებით;
- MFN-ის პრინციპის დაცვისთვის კი აუცილებელია გამჭვირვალობა, რათა სერვისით დაინტერესებულ მესამე მხარეს ჰქონდეს ინფორმაცია იმაზე, თუ რამდენად არადისკრიმინაციულ, საიმედო და პროგნოზირებად პირობებს სთავაზობს სატრანზიტო ქვეყანა (საქართველო).

ტრანზიტის საფასურის კონფიდენციალურობა, ანუ საქართველოს მიერ ტრანზიტის პირობების გასაიდუმლოება, შეიძლება ჩაითვალოს იმის ნიშნად, რომ საქართველომ შეიძლება მოინდომოს, სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის განსხვავებული პირობების შეთავაზება, ანუ ტრანზიტი გამოიყენოს მანიპულირების ან კორუფციული გარიგებების საგნად, რაც სწორედ რუსეთის საერთაშორისოდ დაგმობილ პრაქტიკას შეესაბამება.

ამის გათვალისწინებით, მონეტიზაციაზე გადასვლა გასაიდუმლოებული ფასის პირობებში, არ ემსახურება საიმედო სატრანზიტო ქვეყნის იმიჯის შენარჩუნებას. პირიქით, შეიძლება ითქვას რომ ასეთი შეთანხმება მოქმედებს საერთაშორისო სატრანზიტო რეპუტაციის საზიანოდ, ვინაიდან არ უზრუნველყოფს გამჭვირვალე, თანაბარ პირობებს სხვა შესაძლო დაინტერესებული მხარეებისთვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

ზემოთ განხილული გარემოებები მოითხოვს უფრო სიღრმისეულ სამართლებრივ ანალიზს, თუმცა უკვე იძლევა გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. მათ შორის:

- რუსეთის შესაძლო მოთხოვნას საქართველოს მიერ ტრანზიტის მომსახურების საფასურის საერთაშორისო სამართლის პრინციპების ცალმხრივად დაცვის შესახებ მყარი სამართლებრივი საფუძველი არა აქვს, ვინაიდან რუსეთი თავად არ იცავს ამ პრინციპებს თავის ტერიტორიაზე;

- რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ტრანზიტთან დაკავშირებით საერთაშორისო პრინციპების დაცვის მოთხოვნა ქართულ მხარესაც აძლევს საშუალებას, დააყენოს საპასუხო მოთხოვნა რუსეთის წინაშე, რომ იმავე პირობებით, რუსეთმა უზრუნველყოს თავის ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანზიტი საქართველოს დაინტერესების შემთხვევაში, მაგალითად ყაზახეთიდან და/ან თურქმენეთიდან.

- საქართველოს მიერ ასეთი საპასუხო მოთხოვნის დაყენების გარეშე დარღვეულია მოლაპარაკების პარიტეტულობა, <u>თანასწორობისა და სუვერენიტეტის პრინციპების დათმობის საზიანო პრეცედენტს ქმნის რუსეთთან შემდგომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში და მომავალში სხვა დათმობების წინაპირობა შეიძლება გახდეს</u>.

- ტრანზიტის პირობების გასაიდუმლოება არ შეესაბამება საქართველოს, როგორც გამჭვირვალე და საიმედო საერთაშორისო სატრანზიტო პარტნიორის რეპუტაციას და WTO-ს პრინციპებს ვინაიდან არ იძლევა დაინტერესებულ მხარეთათვის თანაბარი პირობების შეთავაზების (MFN) წინაპირობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა დაიწყოს მუშაობა შემდგომი მოლაპარაკებების მომზადებისა და მხარეთა შორის პარიტეტის აღდგენის მიმართულებით, კერძოდ:

- დაიწყოს შემდგომი მოლაპარაკების მომზადება, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით გაზის სტრატეგიული სცენარებისა და იურიდიული საკითხების დამუშავების საფუძველზე; გაძლიერდეს ამ თემაზე შიგასამთავრობო კოორდინაცია და საერთაშორისო პარტნიორებთან კონსულტაციები;
- რუსეთის წინაშე დაისვას საკითხი პარიტეტული პირობებით გაზის შუა აზიიდან შესაძლო ტრანზიტის შესახებ.
- დაიწყოს მუშაობა ტრანზიტის პირობების გასაჯაროებისთვის, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, დაისვას და გადაწყდეს საკითხი გაზპრომ-ექსპორტთან.

A თბილისი 0179, ფალიაშვილი ქ. N 5
T (+995 32) 210 24 52
F (+995 32) 222 43 85
E weg@weg.ge